საჯარო და კერძო თანამშრომლობა (PPP) საქართველოში - არსებული პრაქტიკა, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

სოფიკო კობაიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - არჩილ აბაშიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო კობაიძე

29.06.2022

აბსტრაქტი

საჯარო და კერძო თანამშრომლობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. უცხოური ინვესტიციების შემოსვლა ქვეყანაში და ამასთანავე, იმ საერთაშორისო ცოდნის და გამოცდილების გაზიარება, რაც საჯარო და კერძო თანამშრომლობას ახლავს თან ქვეყნისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია.

საჯარო და კერძო თანამშრომლობა მოიცავს პროექტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებას, როგორიცაა: დაგეგმვა, აშენება, დაფინანსება, ოპერირება, ტექნიკური მომსახურება და ფორმდება ხელშეკრულება სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის, სადაც გაერთიანებულია ორივე მხარის მიერ აღებული რისკები, ვალდებულებები და განხორციელების გზები.

საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რაც ქვეყნის შესაძლებლობებს კიდევ უფრო ზრდის განვითარდეს ეკონომიკურად, ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი კი PPP პროექტების განვითარებაა. PPP პროექტების განვითარების პოტენციალი დღესდღეობით ყველაზე მეტად ენერგეტიკის სფეროშია. ენერგეტიკის სექტორი კი ეკონომიკის ზრდაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, იმისათვის რომ ეს ჯაჭვური კავშირი იყოს დადებითი და ზრდადი მაჩვენებლების მატარებელი, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ PPP პროექტების როლი ქვეყნის განვითარებაში. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად, საინტერესოა შევაფასოთ დღევანდელი პრაქტიკა საჯარო და კერძო თანამშრომლობის სფეროში, გამოწვევები, რაც სახელმწიფოს და კერძო სექტორს აქვს თანამშრომლობის პროცესში, არსებული კანონმდებლობის ეფექტურობა და იმ მხარდამჭერი მექანიზმების, რაც გაწერილია კანონმდებლობით, PPP პროექტების შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი და საჯარო და კერძო თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: PPP, საჯარო სექტორი, კერძო სექტორი, ენერგეტიკა, ენერგოდამოუკიდებლობა, მხარდაჭერის მექანიზმები, PPA, FIP, PPP პროექტები.

Abstract

Public-Private Partnership is one of the most important component of the country's Economic Development. The inflow of foreign investment into the country, as well as the sharing of an international knowledge and experience that accompanies Public-Private Partnerships, is a important step for the country.

Public-Private Partnership include the functions of the project, such as: Planning, Construction, Financing, Operation, Maintenance and contracting between the State and the Private sector, which combine the risks, obligations, and ways to implement them.

Georgia is one of the developing countries, which further enhances the country's ability to develop economically and one of the most important factor of economic development is the development of PPP projects. The development potential PPP projects is currently in the field of most Energy. The Energy sector plays an important role in the growth of the economy, in order for this chain reaction to be a train of positive and growing indicators, it is important to understand the role of PPP projects in the development of the country. To achieve this goal, it is interesting to assess the current practice in the field of Public-Private Partnership, the challenges that the state and the private sector have in the cooperation process, the effectiveness of existing legislation and the support mechanisms outlined in the legislation, analysis of PPP barriers and Public-Private Partnerships.

Keywords: PPP, Public Sector, Private Sector, Energy, Energy Independence, Support Mechanisms, PPA (Power Purchase Agreement), FIP (Feed in Premium), PPP Projects.

მადლობა

მსურს, მადლობა ვუთხრა ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ არჩილ აბაშიძეს, რომლის რჩევები და მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

ასევე, განსაკუთრებით აღვნიშნავ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების წვლილს (თორნიკე ყაზარაშვილი, ზურაბ არველაძე, შოთა გუნია, ლევან ბატიაშვილი, ნუგზარ ხაინდრავა, გიორგი აბრამიშვილი, გიორგი მარგებაძე, მაია მელიქიძე, დავით ნარმანია, ირაკლი გალდავა, იზაბელ გოცაძე, ნათია ჯიმშელეიშვილი, უჩა ძიმისტარიშვილი) რომელთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში მოწოდებულმა ინფორმაციამ, მასალებმა, რჩევებმა და გამოცდილების გაზიარებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ნაშრომის მომზადებაში.